საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 289-02
13/02/2024

სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32-ში მდებარე (A კორპუსი - ს/კ 01.14.11.007.011) - 3 კვ.მ. ფართზე და ქ. ჩოლოყაშვილის N3/5-ში და წერეთლის გასასვლელ N1, N3-ში მდებარე (E, T, G და S კორპუსები - ს/კ 01.14.07.010.033) - 12 კვ.მ. ფართზე - „ვენდინგის" (ყავა, წყალი, ტკბილეული, სხვა) აპარატების განთავსების მიზნით, სულ - 15 კვ.მ. ფართის ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, აუქციონის გამოცხადების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-19 მუხლის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' და ,,ი" ქვეპუნქტების, 48-ე მუხლის მეხუთე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N3 სხდომის გადაწყვეტილების უნივერსიტეტში ვენდინგის აპარატების განთავსების შესახებ, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" 2023 წლის 2 თებერვლის სასაქონლო ექსპერტიზის N000754623 დასკვნის, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 24 ნოემბრის MES 2 23 0001600438 თანხმობის წერილის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის 7 დეკემბრის № 04/11450 თანხმობის წერილის, საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ოლგესაშვილი 2023 წლის 30 ივნისის N11650-35 წარდგინების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 15 (თხუთმეტი) კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით იჯარით გასაცემად:

   ა) ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32-ში მდებარე (A კორპუსი - ს/კ 01.14.11.007.011) – 3 კვ.მ.;

ბ) ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის N3/5-ში და წერეთლის გასასვლელ N1, N3-ში მდებარე (T კორპუსი - ს/კ 01.14.07.010.033) – 3 კვ.მ.;
გ) ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის N3/5-ში და წერეთლის გასასვლელ N1, N3-ში მდებარე (E კორპუსი - ს/კ 01.14.07.010.033) – 3 კვ.მ.;
დ) ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის N3/5-ში და წერეთლის გასასვლელ N1, N3-ში მდებარე (G კორპუსი - ს/კ 01.14.07.010.033) – 3 კვ.მ.;
ე) ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის N3/5-ში და წერეთლის გასასვლელ N1, N3-ში მდებარე (S კორპუსი - ს/კ 01.14.07.010.033) – 3 კვ.მ.;

აუქციონის წესით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით - 2024 წლის 19 თებერვალს და ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge-ზე.

2. დადგინდეს აუქციონის შემდეგი პირობები:

ა) 1 (ერთი) კვ.მ. ფართის 1 (ერთი) თვის ვადით საიჯარო ქირის თავდაპირველ ღირებულებად განისაზღვროს 170 (ასსამოცდაათი) ლარი;

ბ) აუქციონის მიმდინარეობის ვადად განისაზღვროს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე და დასრულდეს 2024 წლის 4 მარტს;

გ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა დადგინდეს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ) დადგინდეს ბიჯი - თავდაპირველი ნასყიდობის თანხის 10 (ათი) პროცენტის ოდენობით - 17 (ჩვიდმეტი) ლარი;

ე) აუქციონში გამარჯვებულ სუბიექტთან გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულება აუქციონზე გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

ვ) მოიჯარემ საიჯარო ქირის გადახდა უნდა უზრუნველყოს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ყოველთვიურად, მის მიერ წარმოდგენილი აპარატების დასადგამი ფართობის შესაბამისად. მოიჯარეს აგრეთვე დაეკისროს აპარატების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა წარმოდგენილი აპარატების ელექტროენერგიის მოხმარების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაციის საფუძველზე;

ზ) მოიჯარის უფლება აუქციონში გამარჯვებულს წარმოეშობა მასთან დადებული ხელშეკრულების დადების შემდგომ;

თ) საჭიროების შემთხვევაში, მოიჯარემ საკუთარი ფინანსური სახსრებით უნდა უზრუნველყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" იჯარის რეგისტრაცია და მისი საფასური;

ი) საბანკო გარანტია უნდა აიტვირთოს www.eauction.ge-ზე ან წარმოდგენილ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის F კორპუსში, ოთახი F212 (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);

კ) აუქციონში გამარჯვებული სუბიექტის მიერ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის, აუქციონში მონაწილეობის წესის დარღვევისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, უნივერსიტეტი გადახდილ ბეს/უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიის თანხას უკან არ უბრუნებს აუქციონში გამარჯვებულ პირს;

ლ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადად დადგინდეს 2024 წლის 3 აპრილი;

მ) აუქციონის პირველ ეტაპზე არ ჩატარების შემთხვევაში, განმეორებით მოხდეს შემდეგ ეტაპზე აუქციონზე აღნიშნული ფართის იჯარის გატანა;

ნ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 სექტემბრის №561 დადგენილების N2 დანართის მიხედვით - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ო) თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებულმა პირებმა რომლებმაც გადაიხადეს ბე ან/და წარმოადგინეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია - არ მიიღეს მონაწილეობა სააუქციონო ვაჭრობაში, წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება უნივერსიტეტის ანგარიშზე;

პ) ამ ბრძანებით გათვალისწინებული ელექტრონული აუქციონის პროცედურების განხორციელების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა. ქეთევან დარახველიძე – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ. დალი ცქიტიშვილი – იურიდიული სამსახურის უფროსი;
გ. გიორგი მამუჩაშვილი – მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი;
დ. დიმიტრი გორგაძე - სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
ე. გიორგი ოლგესაშვილი - საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის უფროსი;
ვ. იასონ ჩავლეშვილი - საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის კოორდინატორი.

ჟ) ამ ბრძანების „პ“ ქვეპუნქტით მიხედვით შექმნილი კომისიის ორგანიზაციული საქმიანობის წარმართვის მიზნით შეიქმნას კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა. გიორგი ტაბატაძე - იურიდიული სამსახურის წამყვანი იურისტი;

ბ. მიხეილ წურწუმია - იურიდიული სამსახურის იურისტი.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურს დაევალოს ინფორმაციის www.eauction.ge-ზე ატვირთვა, საკონტაქტო პირად განისაზღვროს - სამეურნეო-ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი-დიმიტრი გორგაძე, ტელ: 577 55 33 21.
5. აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს დაევალოს გადაიხადოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასური ამ ბრძანების მეორე პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის უფროსს, გიორგი ოლგესაშვილს.
7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მატერიალური რესურსების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესყიდვების სამსახურს, საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურს, უნივერსიტეტის შიდა აუდიტს, რექტორის აპარატს და ადმინისტრაციის სამდივნოს.

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი